

შპს არგოტრანს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგებები

2018 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	3
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი	8
1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საოპერაციო გარემო	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	9
3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები	13

შპს არგოტრანს ჯორჯია

ზოგადი ინფორმაცია

დასახელება: შპს არგოტრანს ჯორჯია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404961145

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 34, მაღაზია N1

დაარსების თარიღი: 18 ოქტომბერი 2012 წელი

კომპანიის 100% წილის მფლობელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

არგოტრანს ლიმიტედ

კომპანიის დირექტორი: სერგეი გრომოვ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე, რომლებიც სამართლიანად წარმოადგენს შპს არგოტრანს ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი ოპერაციების, ფულადი ნაკადებისა და აქციონერების კაპიტალში ცვლილებების შედეგებს ამ პერიოდისთვის დასრულებული წლისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევასა და მის გამოყენებაზე;
- სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით ინფორმაციის წარდგენაზე იმ ფორმით, რომელიც გვაწვდის რელევანტურ, სარწმუნო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოწოდებაზე;
- შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ასევე, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების შენარჩუნებაზე, რომელიც საკმარისია კომპანიის ტრანზაქციების საჩვენებლად და ნებისმიერ დროს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გონივრული სიზუსტით განმარტებისთვის;
- ადგილობრივ კანონმდებლობასთან და საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისად სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოებაზე;
- იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც გონივრულად ხელმისაწვდომია კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენციასა და გამოვლენაზე.

შპს არგოტრანს ჯორჯია

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები	1	2.527.086	3.665.925
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(702.726)	(1.468.768)
მთლიანი მოგება		1.824.360	2.197.157
სხვა საოპერაციო შემოსავალი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2	10.170 (1.913.094)	282.790 (3.371.377)
საოპერაციო ზარალი	3	(78.564)	(891.430)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ზარალი)	5	22.052	(20.381)
ზარალი დაბეგვრამდე		(56.512)	(911.811)
მოგების გადასახადის ხარჯი	6	(1.509)	(1.370)
წლის ზარალი		(58.021)	(913.181)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(58.021)	(913.181)

დირექტორი
სერგეი გრომოვ

შპს არგოტრანს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	2018 GEL	2017 GEL
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	219.772	380.585
არამატერიალური აქტივები	8	31.196	37.128
		250.968	417.713
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	-	3.148
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	19.375	219.045
საგადასახადო მოთხოვნები	14	17.009	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	277.503	337.301
		313.887	559.494
სულ აქტივები		564.855	977.207
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	12	100	100
გაუნაწილებელი მოგება		547.604	605.625
სულ კაპიტალი		547.704	605.725
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	17.151	360.166
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	14	-	11.316
		17.151	371.482
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		564.855	977.207

დირექტორი
სერგეი გრომოვ

შპს არგოტრანს ჯორჯია

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ ლარი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს წლის ზარალი	100 -	1.518.806 (913.181)	1.518.906 (913.181)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის / 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	605.625	605.725
წლის წმინდა ზარალი	-	(58.021)	(58.021)
	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	547.604	547.704

დირექტორი
სერგეი გრომოვ

შპს არგოტრანს ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ზარალი დაბეგვრამდე		(56.512)	(911.811)
კორექტირებები:			
გრძელვადიანი აქტივების ცვეთა	7	173.180	177.614
საკურსო (მოგება)/ზარალი		(4)	8.370
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	8	5.932	5.932
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		-	(48.908)
საპროცენტო შემოსავალი	5	(22.375)	(2.128)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:		100.221	(770.931)
მარაგების შემცირება		3.148	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		199.670	65.503
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(343.016)	276.994
საგადასახადო მოთხოვნების (ზრდა)/ შემცირება		(29.834)	198.343
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(69.811)	(230.091)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გადახდები არამატერიალური აქტივებისთვის	8	-	(28.229)
გადახდები ძირითადი საშუალებებისათვის	7	(12.366)	(1.220)
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	7	-	86.450
მიღებული პროცენტი		22.375	2.128
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		10.009	59.129
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		-	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა, წმინდა		(59.802)	(170.962)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		337.301	516.633
საკურსო სხვაობა		4	(8.370)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის/პერიოდის ბოლოს	11	277.503	337.301

შენიშვნა: ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით


დირექტორი
სერგეი გრომოვ

შპს არგოტრანს ჯორჯია

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები	1	2.527.086	3.665.925
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(702.726)	(1.468.768)
მთლიანი მოგება		1.824.360	2.197.157
სხვა საოპერაციო შემოსავალი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2	10.170 (1.913.094)	282.790 (3.371.377)
საოპერაციო ზარალი	3	(78.564)	(891.430)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ზარალი)	5	22.052	(20.381)
ზარალი დაბეგვრამდე		(56.512)	(911.811)
მოგების გადასახადის ხარჯი	6	(1.509)	(1.370)
წლის ზარალი		(58.021)	(913.181)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(58.021)	(913.181)

დირექტორი
სერგეი გრომოვ



შპს არგოტრანს ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018 GEL	2017 GEL
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	219.772	380.585
არამატერიალური აქტივები	8	31.196	37.128
		250.968	417.713
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	-	3.148
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	19.375	219.045
საგადასახადო მოთხოვნები	14	17.009	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	277.503	337.301
		313.887	559.494
სულ აქტივები		564.855	977.207
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	12	100	100
გაუნაწილებელი მოგება		547.604	605.625
სულ კაპიტალი		547.704	605.725
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	17.151	360.166
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	14	-	11.316
		17.151	371.482
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		564.855	977.207

დირექტორი
სერგეი გრომოვ




შპს ანგოტრანს ჯორჯია

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ ლარი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს წლის ზარალი	100 -	1.518.806 (913.181)	1.518.906 (913.181)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის / 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	605.625	605.725
წლის წმინდა ზარალი	- -	(58.021) -	(58.021) -
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	547.604	547.704

დირექტორი
სერგეი გრომოვ



შპს არგოტრანს ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(56.512)	(911.811)
კორექტირებები:			
გრძელვადიანი აქტივების ცვეთა	7	173.180	177.614
საკუროსო (მოგება)/ზარალი		(4)	8.370
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	8	5.932	5.932
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან		-	(48.908)
საპროცენტო შემოსავალი	5	(22.375)	(2.128)
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:		100.221	(770.931)
მარაგების შემცირება		3.148	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		199.670	65.503
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(343.016)	276.994
საგადასახადო მოთხოვნების (ზრდა)/ შემცირება		(29.834)	198.343
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(69.811)	(230.091)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გადახდები არამატერიალური აქტივებისთვის	8	-	(28.229)
გადახდები ძირითადი საშუალებებისათვის	7	(12.366)	(1.220)
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	7	-	86.450
მიღებული პროცენტი		22.375	2.128
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		10.009	59.129
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		-	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა, წმინდა		(59.802)	(170.962)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		337.301	516.633
საკუროსო სხვაობა		4	(8.370)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის/პერიოდის ბოლოს	11	277.503	337.301

შენიშვნა: ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით

დირექტორი
სერგეი გრომოვ



შპს არგოტრანს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2018 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საოპერაციო გარემო

შპს არგოტრანს ჯორჯია დაფუძნდა 2012 წლის 18 ოქტომბერს საქართველოში შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში იმპორტისთვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების გადატვირთვის და ტრანსპორტირების მომსახურება.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი #34, მაღაზია N1, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ისტორიული ღირებულებით.

სააღრიცხვო პოლიტიკა - კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ძირითადი დაშვება - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

კომპანია თავის ვარაუდებს აფუძნებს ისტორიულ შედეგებზე, ითვალისწინებს რა დამკვეთის და ტრანზაქციის ტიპებს და თითოეული გარიგების მახასიათებლებს. გარემოებების ცვლილების შესაბამისად შესაძლოა შეიცვალოს ვარაუდები კომპანიის შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ვარაუდების ცვლილებით გამოწვეული ზრდის ან შემცირების ასახვა ხორციელდება იმავე საანგარიშო პერიოდში, როცა კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი ხდება გარემოებების ცვლილების შესახებ.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება წმინდად - დისკონტირების, უკუგებებისა და დღგ-ს გარეშე.

კომპანია აღიარებს ამონაგებს მას შემდეგ, რაც ა) მხარეები დაადასტურებენ ხელშეკრულებას და შეასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ბ) კომპანია შეძლებს ხელშემკვრელი მხარეების უფლებებისა და გაწეული მომსახურებისათვის გადახდის პირობების განსაზღვრას, გ) ხელშეკრულებას აქვს კომერციული მნიშვნელობა (მოსალოდნელია რომ შეიცვალოს კომპანიის მომავალი ფულადი ნაკადების რისკი, ვადა და რაოდენობა კონტრაქტის შესაბამისად), დ) მოსალოდნელია რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას გაწეული მომსახურებისათვის.

გადატვირთვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით - მომსახურების გაწევის დასრულების შესაბამის პერიოდში, მიუხედავად თანხის ფაქტობრივად მიღების პერიოდისა.

საიჯარო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საშუალების იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდით პერიოდის შესაბამისად.

სამუშაო ვალუტა - კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში შემავალი მუხლები ფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც კომპანია საქმიანობს (სამუშაო ვალუტა). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში ამ ტრანზაქციების განხორციელების დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში - ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების მუხლში.

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული საანგარიშო პერიოდისათვის ან შემდგომში ძალაში შესული კანონმდებლობი შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები განაწილდება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ გადასახადებში, და არა მოგების გადასახადში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის მიერ გამოყენებული წლიური ცვეთის განაკვეთებია:

	%
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10
სატრანსპორტო საშუალებები	20
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	20 - 50

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალურ აქტივად აღიარებულია კომპანიის მფლობელობაში არსებული კომპიუტერული პროგრამები/ლიცენზიები, რომელთაგანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. კომპიუტერული პროგრამა აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით რადგან: ა) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის და რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (SPPI) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალიში ასახვით შეფასებულის კატეგორია (FVTPL). ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ კლიენტებისაგან მისაღებ თანხებს. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებ ვადაში, მაშინ მოთხოვნები კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მომწოდებელი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების შესაბამისად; იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიღებულ ავანსებად აღირიცხება მომსახურების შესრულებამდე კლიენტისაგან მიღებული თანხები, რომლისგანაც შემოსავალი ჯერ არ აღიარებულა.

გადახდილ ავანსებად აღირიცხება მომსახურების შესრულებამდე მომწოდებლისათვის გადახდილი თანხები, რომლის ხარჯიც ჯერ არ აღიარებულა.

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.

თანამშრომელთა გასამრჯელოები - ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სამედიცინო დაზღვევა, დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

მარაგები - კომპანია იყენებს მარაგების აღრიცხვის „ფიფო“ (FIFO) მეთოდს, შეძენილი მარაგები აღირიცხება შეძენის ღირებულებით.

სამართალწარმოება - 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები - ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებების შესწორებას ან განმარტებებს.

3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შენიშვნა 1 - ამონაგები

კომპანიის ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით:

	2018 ლარი	2017 ლარი
შემოსავალი გადატვირთვის მომსახურებიდან	2.506.322	2.862.752
შემოსავალი საექსპედიტორო მომსახურებიდან	18.928	802.983
სხვა შემოსავალი	1.836	190
	2.527.086	3.665.925

შენიშვნა 2 - სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2018 ლარი	2017 ლარი
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	-	48.908
საიჯარო შემოსავალი	10.170	233.882
	10.170	282.790

შენიშვნა 3 - საოპერაციო ზარალი

	2018 ლარი	2017 ლარი
საოპერაციო ზარალი განისაზღვრება შემდეგი მუხლების გათვალისწინებით		
არამატრიალური აქტივების ამორტიზაცია (შესულია ადმინისტრაციულ ხარჯებში) (შენიშვნა 8)	5.932	5.932
ძირითადი საშუალებების ცვეთა (შენიშვნა 7)	173.180	177.614
პერსონალის ხარჯი (შენიშვნა 4)	1.251.418	1.835.353

შენიშვნა 4 - პერსონალის ხარჯი

	2018 ლარი	2017 ლარი
ხელფასის ხარჯი	1.251.418	1.835.353
	1.251.418	1.835.353

კომპანიის მიერ დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობა 2018 და 2017 წლებში იყო შესაბამისად 37 და 47 თანამშრომელი.

შენიშვნა 5 - წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)

	2018 ლარი	2017 ლარი
საპროცენტო შემოსავალი	22.375	2.128
საკურსო მოგება	3	-
ფინანსური შემოსავალი	22.378	2.128
საკურსო ზარალი	-	(21.427)
სხვა ფინანსური ხარჯები	(326)	(1.082)
ფინანსური ხარჯები	(326)	(22.509)
ფინანსური მოგება/(ზარალი) წმინდა	22.052	(20.381)

შენიშვნა 6 - საბიუჯეტო გადასახადები

	2018 ლარი	2017 ლარი
მოგების გადასახადი	1.509	1.370
წლიური ხარჯი	1.509	1.370

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილება ეხება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებსა და არარეზიდენტი კომპანიების მუდმივ დაწესებულებებს, გარდა ზოგი ფინანსური ინსტიტუტისა. მოგების გადასახადის შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგვრას და 15%-იან განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. 2017 წლამდე მოქმედი მოდელის მიხედვით კი კომპანიის მოგება დაბეგვრამდე იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა მოხდებოდა თუ არა მოგების განაწილება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების გადანაწილების შედეგად, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია.

ახალი კანონის შესაბამისად კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება იმ პერიოდში როდესაც ხდება მოგების გამომუშავება და მოგების გადასახადის ხარჯს აღიარებს მხოლოდ მოგების განაწილების დროს.

2018 წლის განმავლობაში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი 1,509 ლარის ოდენობით წარმოადგენს გადასახადს 8,551 ლარის ღირებულების არაეკონომიკური საქმიანობისათვის გაწეულ დანახარჯებზე.

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	მანქანა -დანადგარები	ავტომობილები	ოფისის აღჭ. და ავეჯი	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 01.01.2017	13.559	776.387	179.199	969.145
დამატებები	-	-	1.220	1.220
გასვლები	-	(88.708)	-	(88.708)
ნაშთი 31.12.2017 / 01.01.2018	13.559	687.679	180.419	881.657
დამატებები	-	-	12.366	12.366
ნაშთი 31.12.2018	13.559	687.679	192.785	894.023
ცვეთა				
ნაშთი 01.01.2017	3.164	282.647	88.813	374.624
ცვეთის ხარჯი	1.356	142.813	33.445	177.614
გასვლისას აღმოფხვრილი	-	(51.166)	-	(51.166)
ნაშთი 31.12.2017 / 01.01.2018	4.520	374.294	122.258	501.072
ცვეთის ხარჯი	1.356	137.536	34.288	173.180
ნაშთი 31.12.2018	5.875	511.830	156.546	674.251
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2018	7.684	175.849	36.239	219.772
ნაშთი 31.12.2017	9.039	313.385	58.161	380.585

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მოიცავს შემდეგს:

	2018 ლარი	2017 ლარი
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	37.542
მოგება ძირითადი საშუალებები გასვლიდან (შენიშვნა 2)	-	48.908
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	86.450

შენიშვნა 8 - არამატერიალური აქტივები

	კომპ. პროგრამა ლარი	სულ ლარი
ნაშთი 01.01.2017	29.661	29.661
დამატებები	28.229	28.229
ნაშთი 31.12.2017/ 01.01.2018	57.890	57.890
ნაშთი 31.12.2018	57.890	57.890
ამორტიზაცია		
ნაშთი 01.01.2017	14.830	14.830
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3)	5.932	5.932
ნაშთი 31.12.2017/ 01.01.2018	20.762	20.762
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3)	5.932	5.932
ნაშთი 31.12.2018	26.694	26.694
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 31.12.2018	31.196	31.196
ნაშთი 31.12.2017	37.128	37.128

შენიშვნა 9 - მარაგები

	2018 ლარი	2017 ლარი
სხვა მარაგები	-	3.148

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

შენიშვნა 10 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 ლარი	2017 ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	2.000	119.976
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ	362	354
წინასწარ გაწეული ხარჯები	6.131	7.451
გადახდილი ავანსები	10.882	91.264
	19.375	219.045

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა მოთხოვნების შემცირება გაუფასურების ანარიცხით, ვინაიდან შეფასების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრა როგორც არამატერიალური.

გადახდილი ავანსები წარმოადგენს კონტრაქტის პირობების შესაბამისად მომწოდებლებთან წინასწარ გადახდილ თანხებს, რომელთა შესაბამისი მომსახურებაც არ მიღებულა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიან ღირებულებას.

შენიშვნა 11 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრების ნაშთები შედგება შემდეგი ნაშთებისაგან:

	2018 ლარი	2017 ლარი
ნაღდი ფული სალაროში	326	485
ფულადი სახსრები ბანკში	277.177	336.816
	277.503	337.301

შენიშვნა 12 - საწესდებო კაპიტალი

	2018 ლარი	2017 ლარი
საწესდებო კაპიტალი	100	100

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 ლარი	2017 ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	1.532	340.071
დარიცხული ვალდებულებები	15.258	14.400
მიღებული ავანსები	361	5.695
	17.151	360.166

მიღებული ავანსები წარმოადგენს კონტრაქტის პირობების შესაბამისად კლიენტებისაგან წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა შესაბამისი მომსახურებაც არ გაწეულა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღირიცხება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. შესაბამისად ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია წარმოადგენს სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას.

შენიშვნა 14 - საგადასახადო აქტივი / ვალდებულება

წმინდა საგადასახადო ვალდებულებები/(აქტივები) მოიცავს შემდეგს:

	2018 ლარი	2017 ლარი
მოგების გადასახადი	(16.781)	(335.359)
საშემოსავლო გადასახადი	-	921.667
დამატებული ღირებულების გადასახადი	(228)	(574.992)
	(17.009)	11.316

შენიშვნა 15 - პირობითი ვალდებულებები

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნდა პირობითი ვალდებულებები.

შენიშვნა 16 - საოპერაციო იჯარის ვალდებულებები

კომპანია როგორც მოიჯარე - სამომავლო მინიმალური ყოველთვიური საიჯარო გადასახადი შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ფარგლებში შემდეგია:

	2018 ლარი	2017 ლარი
ერთი წლის განმავლობაში	12.125	-
	12.125	-

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები - ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებების შესწორებას ან განმარტებებს.